

„თეოლოგიის განვითარება უკავშირდება სიღრმისეულად გაიჭრის სიღრმისადაც... თეოლოგია სიღრმისადაც უკავშირდება სიღრმისადაც... თეოლოგია სიღრმისადაც უკავშირდება სიღრმისადაც...“

# სობის მოამბე

№18 (7053) 29 სექტემბერი,  
სამშაბათი, 2015 წელი.  
შპს 70 თბილისი.

## სობის ენციკლოპედიის განვითარება

### 2-3 ოქტომბერი—სობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“



#### „მრავალქამიარ საქართველოსთვის“

მიმდინარე წლის 2-3 ოქტომბერს სობი დიდი მუსიკალური ზვიგნის კონცერტად იტყვება. საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“ მუშავდება უმეტესად სოფლის-მეურნეობის მხარდასაჭერად. სამეგრელო-ზვიგნის სფეროს რეგიონი განვითარების დასახელებად ერთიანდება.

სობის საერთაშორისო ფესტივალი ამჯერად ლეგენდარულ ანსამბლ „რუსთავს“ და თამარ გვრდელით უმასპინძლებს. საერთაშორისო სობიდან უმეტესად რეგიონების ფოლკლორული ანსამბლები და საყვარელი მემკვიდრეები. მოელოება სპეციალურად ფესტივალისთვის შექმნილი ქვიშებისა და კომპოზიციების პრეზენტაცია. ესენია:

1. ანსამბლ „რუსთავის“ ანთოლოგია. ასევე, ანსამბლის მიერ ნამღერია 380 ქართული სიმღერა 16 დისკად აკინძული.
2. თამარ გვრდელის აუდიო ალბომი, რომელშიც შესულია 12 ქართული, 5 საავტორო და რუსული ენაზე ნამღერია სიმღერები. ასევე, პატრიარქის „ალილია“.
3. სობელი ნინო გომთეზიას და ანსამბლ „რუსთავის“ ალბომი, რომელიც აერთიანებს 11 მეგრულ სიმღერას.
4. კატალოგი-ალბომი „სობის ფესტივალის საგანძობი“. მასში თავმოყრილია ყველა ის გამოცემა და თემატიკა, რაც ფესტივალის უკიდურესად განხორციელებულა.

სამეგრელოს რეგიონის 9 მუნიციპალიტეტის მოსახლეობა სობის თეატრის მიმდინარე სეზონში აქცენტს ეთმობს-კეთხილ. სტუმრებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ რეგიონის ნიმუშებს, მსახურულ ცილოებს, სოფლის მეურნეობის მსახურებს და ტრადიციულ კეთხილ სამზარეულოს.

**2 ოქტომბერი 20:00** საათზე ქალაქის ცენტრი-ფესტივალის გახსნა. მუნიციპალიტეტების მიერ მომზადებული ფოლკლორული და ქართული ნიმუშები. სობიდან მღერობენ ქართული რეპერტუარი: ელენე თხილაძე, სოფო გომეზიანი, ნინო მამარიაშვილი, ნინო გომეზიანი, გიორგი სუბეტიანი. ლევან მასპინძელაშვილის მიხედვით.

რეპერტუარი-გიგა კვიციანი.  
პირდაპირი ტრანსლაცია აჭარის ტელევიზიით.

**3 ოქტომბერი**-„ერთიან სივრცეში დანახული სამეგრელო“- ფესტივალში სტუმრების მიღება, სეზონში მომზადებული ეთნო-კეთხილ. მეგრული სტუმართმასპინძლობა.

ქვეყნის მთელი, გამოცემების პრეზენტაცია, საპატონო მძღოლადების დაჯილდოება.  
**19:00 საათზე გალა კონცერტი** სობის თეატრის-„მრავალქამიარ საქართველოსთვის“. რეპერტუარი ზაზა მამარიაშვილი.

მოწვეულია 1800 სტუმარი. ისინი თეატრში ბინადვებიან, რაც კიდევ ერთხელ იმის დასტურია, რომ სტუმარი სამეგრელოში ძალიან უყვართ.

პირდაპირი ტრანსლაცია საზოგადოებრივ მაუწყებელზე.  
\* \* \*

სობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალს ეწვევა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, მთავრობის წარმომადგენლები და სხვა მნიშვნელოვანი პირები.

**გეგმიურად  
სრულიად  
საერთაშორისო!**  
რეკლამა ფულია, ➡ 3



27 სექტემბერი ავსტრალია-ტაივანი ჩვენი

სტუმრის დაცემის დღიდან წლები გავიდა. დღემ ცვივლი ვატ გაანგა. შინდამტრენების ლდინმა გული ვატ დალალა. ავსტრალიის, ბინბვლი საკუთათი მიწა-წყლის ნახვის სუტვილი და მინაცტრემა დღითიდლე მაცულუმს...

სდმში დტდრით მცნატრეპ ავსტრალიიდან დვნილ ადამიანებთან სატბათი სვდის მდმგვტვილია. თუნდაც იმის მდგნტრემა.—მათ თვალწინ მიწა ტდგტრ იწვდდა, თვვამი და ცინვამი გათმშოლტის დნთის სუნის ტდგტრ მტაცვილტდთ სვანეთის გზაზე, შვიმბტრენტვილია.

ამასწინათ ტრდტციამი გვტსტრემატ მაცტნი ტრვტ შამათავა, ავსტრალიაში ტტ-ტტი სვტლის ცტთვილი დტრტტტტი, დიდი ტვტახის მამა და მამტა, სდმტლტმს

შტსისსტსტტტრეტილი და სტსტმის დაცემის გამტ სვტდამტბალტრეტილი.

მაცტნი ტრვტატი სასტამტვნტ მტსატრბტვა. ლტტსტმის კტრტრტლის ავტტტი, ტრენი გავტთის გულშემატვტვტტი. მკტთსვტლისტთის მასტვ გვინდტდა მტგვტსტტ, მატტამ მან „ლტტლოვტლის დტირტი“ და ტამდტნიმე ლტტსი შვიმტვტთავაზა, ტა ტტმა ტნდა, ტსტ მის თავმდამტბლტმავა მიგვანტშნტმს. ტრენტ ატრვანტი მისი სუტვილის შტსტრეტიმავა გავავტთეთ და მალე შინ, ავსტრალიაში სტრეტიმტმის იმეტიტ გავაცვილეთ.

სტამტვრენტიტ ვტრტტდავტ ამტნატრეტიმს „ლტტლოვტლის დტირტიდან“ და ტამდტნიმე ლტტსს.

მტტი ლავტვილავა.

ლტლოვტლის დტირტიდან

ამბობენ: დრო ყველაფრის მკურნალია... თითქოს დღეები სწრაფად გადიან, იცვლება ამქვეყნიური მოვლენები, ცხოვრების წესი, იცვლება იდეები და შეხედულებები, იცვლებიან ადამიანებიც; დავიწყების მტვერი თანდათან ფარავს ყოველდღიურ წვრილმანებს... მაგრამ ის, რაც მოხდა აფხაზეთში, მისი დავიწყება არ იქნება! აფხაზეთში დატრიალებულმა ტრავტედიამ წარუშლელი კვალე დატოვა ადამიანების მეტსიერებაში, ათასობით ოჯახს დაენგრა ცხოვრება, ათასობით უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა, ადამიანებმა თავისთავზე განიცადეს და გადაიტანეს წარმოუდგენელი ველურობა და სისასტკე... გადარჩენილთა მეტსიერება ცხოვლად ინახავს იმ უბედურების დეტალებს, ნახულს და განცდილს.

აფხაზეთში მცხოვრები ქართველების თავზე ავისმომასწავლებელი დრუბლები წლების განმავლობაში გროვდებოდა, ცხადი იყო საშინელების მოახლოება, აქ მოსალოდნელი ქარიშხლის წინათგრძნობა, ავის მოლოდინი აშფოთებდა და აფიქრებდა ყველა ოჯახს, ყველა გრძნობდა, რომ რაღაც ცუდი და ავისმომტანი უამი უნდა დატრიალებულიყო, მაგრამ...

დატრიალებული ოჯახისთვის ოცი წლის მერე ერთხელ ოჩამჩირეში მომიწია ჩასვლა (რძალი გარდამტკვალა, იგი აფხაზი იყო, მისი მოგვარეები ბევრი არიან ხორგაში...) ენგურის ხიდიდან ოჩამჩირემდე ყოველ ნაბიჯზე შეიმჩნეოდა უბედურების კვალე: მიტოვებული, გავერანებული ეზოები, დანგრეული სახლები, უანგმოკიდებული ტვიშკრები, გადამწვარ-გა-

დაბუგული ჩაის პლანტაციები...

აჩიგვარის საშუალო სკოლის ეზო ტყედტკეულიყო, ჩაის ფაბრიკა—დამწვარი, ქარსაფარი ტყეები აჩეხილი ან ხანძრისგან იყო განადგურებული. ოჩამჩირეში დამწვარი იყო ზეთის ქარხანა, კერძო სახლები; ოცი წლის წინ ხალხმრავალი, ლამაზი და კოპწია ქალაქი ნაომარს გავდა—ატა—იქ თუ ნახავდი გამვლელ-გამომვლელს... ზოლო ის, რაც ილორის ნავკალუს უბანში ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა „ტანაყრილ“ ეკალბარდებში ნადირი ვერ გაძვრებოდა. გამახსენდა დ. გურამიშვილის გოდება: „მოისრა ხშირი ქვეყანა, გახდა კვრანად, ტრამლადა“...

ზოლო ჭირის სუფრაზე აფხაზები ისე იქცეოდნენ, თითქოს არაფერი მომხდარიყო, ისეთი თავშეკავებულები იყვნენ ჩვენთან ურთიერთობაში, თითქოს იყო და არა იყო რა... ისმოდა რუსული, აფხაზური... გამოსათხოვარი სიტყვა ითქვა მეგრულადაც... მაგრამ...

ჩვენს სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორი ვიყავი, რუსულ ენას ასწავლიდა აფხაზი ქალი (ქმარი ქართველი ყავდა, იგი აფხაზებმა სტეკეს...) გვარად ზუხბა, ქმრისა და დედამთილ-მამამთლის საფლავზე ხმამალა მოტკვამდა: „რა საჭირო იყო ომი და უბედურება ჩვენსა და ქართველებს შორის... რომ ეს უბედურება არა, თქვენ ახლაც ცოცხლები იქნებოდით და მეც შავები არ მეცმეოდა“.

ველიკოდერჟავულმა იდეოლოგიამ თავისი გააკეთა, თავის ანკესზე წამოაგო აფხაზური თემი და შედეგიც სახეზეა: ჩვენ წავავგეთ და არც

აფხაზებს მოუგიათ რა, წავაგეს კი ბევრი რამ...

მოჩვენებითი დამოუკიდებლობა ყველამ იცის რაა, იგი ნაყოფს თანდათან მოიმკის და თუ ვის სასარგებლოდ, ეს მარტივი კითხვაა.

ჩვენთან, ლტოლვილებთან, ხანდახან მოდიოდნენ უცხოელები (ახლა კარგა ხანია არავინ მოსულა) ისინი ისეთ რაღაცას გვეკითხებოდნენ, რაც ჩვენს აღშფოთებას და გაოცებასაც იწვევდა: „გინდათ აფხაზეთში დაბრუნება?“ მოგონებათა სკივრიდან ორ მაგალითს მოვიყვან:

ჩემმა ბიძაშვილმა ზუგდიდში ძალეი წამოიყვანა. მონადირე კაცი იყო და ძალები ძალიან უყვარდა. ერთი კვირის მერე ძალეი დაიკარგა. მახსოვს, როგორ ტიროდა, როცა იხსენებდა, რომ მისი „თუნთია“ შინ დაბრუნებულიყო და დამწვარი სახლის ლაფაროში შიმშილით მომკვდარიყო...

ერთმა ლტოლვილმა დაკარგა ძროხები, რომლებიც მან მახუნდჯიიდან ჩამოიყვანა. ეგონა, რომ მოჰპარეს, ორი კვირის ტეზნის მერე ნახეს წალენჯიხის სოფელში როგორ ეტებდნენ ენგურზე გადასასვლელ ფონს, რომ გაღმა გაეცურათ და სამშობლოში (ე.ი. თავიანთ კუთხეში) დაბრუნებულიყვნენ...

\*\*\*

ამ ამბავს თვალტრემლიანი ვწერ, დროს არ შეუძლია ყველა ტკივილის მიწუმათება, მას ძალუმს ბევრ ცხოვრებისეულ მოვლენებს მისცეს სიძველის იერი, ან სულ უარესი—წაშალოს, გააუფერულოს, მაგრამ გულთან, გულის მეტსიერებასთან ის უძღურია, როცა საქმე სიყვარულს, სამშობლოს მიწის სიყვარულს შეეხება...

რევაზ შამათია

ჩვენი შამათია

ჩელა

(გოდერი ბუკიას, მეგრული სიმღერების ტრფიალს) თუთარჩელა... სულ აღარ ბნელა, ტრფობისთვის თვის ტოლს უხმობს, წყურია, ერთი გზა გვერგო მე და შენ, ჩელა, გათენებამდე მივალთ ჭურისა. ორანი შენი არა, არ ქრება, შენ ჩემი ძმა ხარ, ჩემი ცხოვრება, არც სიმღერა მშურს შენზე, არც ქება, არც მწარე შოლტი მეუცხოება, ჩვენი იტბალი რთულზე რთულია, ვინემ გეგონა ეს ასე, ჩელა, ჭურია თუ გზის დასასრულია, დაგიძახებენ ალბათ „ჩერჩელას“. შენ სულ სხვა რამ ხარ,—ოჯახის ძალა და გლოცავს მალღით ზენა, განგება... შენთან, სქანჭირი, არაფერს ვმალავ, მაგრამ ძნელია შენი გაგება... ხარ საიმედო... რაც იყავ, ის ხარ, ვითომ გაიგე ჩემი მეგრული?— „მე ღარიბი ვარ და მდიდარს მიჰყავს ჩემი ღამაში შეყვარებული“...

1992

მზე აღმობდა! მზე აღმობდა! ია-ია თვალტს ახელს, აყვავდა და აყვავილდა სავარდე და სავენახე. ხნული ხნულტს ისე მისდევს, თითქოს წიგნის სტრიქონია, ცად ავიდა ბულბულების მეთორმეტე სიმფონია. მეცამეტეს ხვალ შექმნიან, მეთოთხმეტეს შაბათს, დილით, როცა გულანშაროსაყენ ჩაქროლებს ავთანდილი. იმნაირი მეჩვენება გაზაფხულის იდილია, აღარც მახსოვს თუ ოდესმე მწყენია და მიტირია. მათე ბიჭის გასახარად, ყვლავ შენდება მერცხლის ბუდე, სიო არხევეს გამთენიის ლაყვარდისფერ აბლაბუდებს; ეს ღამაში აღმადრენა, არემარეს მოსდო იამ, ოდოს ოდო ნაუშველა, აღუდუნდა ოდოია... \_გამარჯობა!!! გადმომძახა მეზობელმა ამო ხმითა\_ \*\*\* ღმერთო, გულით გვედრები, ნე გამოგყერი სამოთხიდან!

ზაალ გოცამის ხსოვნას

ყოველივე განმეორდა წესისამებრ თავისით; თებურვალში გაზაფხულდა, აფერადდა აისი; გაოქროსფერდა შინდები გაღმთ გაღმა რგანის ხევეს, აპრილმა მარტს არ ასესხა აღარაფრით სამი დღე, ყველამ წესით ბატ-ბოსტანი დაბარა და დათესა, ეუნძი ჭიგოს მოეხვა, ხეზე აძვრა ადესა. სოფლის ზევა აამალდა „ქრისტე აღდგას“ ნათელმა, სანთლით ხელში მაცხოვრის წინ დაიოქა ქართველმა. ზამთრის ერთი ნაფეხურიც აღარ იყო არსაით, და დანყო სოფელმა ზრდა სამამულე რქსავით... ქართულ ოჯახს როდის აჯლდა ან ტვინო და ან პური და გამალეს ჭურის თავზე სუფრა მამა-პაპური. გაიხსენეს გარდაცვლილნი—მემა, მეზვრე, ხერო და მოხალისე ჯარისკაცი, ბრძოლისწინ რომ ხუმრობდა: „ამ კვირას სწორს დაგპატივებთ, ცირა ცოლად მომყავსო, ყვირილაში ნაბანავებს ტყვია როგორ მომტლავსო!“ ბედი მისი ღვთის განგებით სიჭაბუკეს არ გასცდა... მისი სისხლით შეფერილან გვირილები გაგრასთან... აღდეგრძელეს გაზაფხული, გლეხიყავის ფიქრები და ილოცეს: „საქართველო. ქართველებით იქმენით!“ ბევრი სადღეგრძელო ითქვა, ბევრზე ბევრი ტვინო სვეს „ცოდვა ხარო“—ერთი ჭიქა ცრემლით სავსე მიბოძეს...

# ნუგზარ (ნუტი) ლემონჯიას სახელობის თასის გათამაშება

ქ. სობის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ნუტი ლემონჯიას სახელობის თასის გათამაშება ფეხბურთში.

შეჯიბრებაში ექვსი გუნდი იღებდა მონაწილეობას.

**A** ჯგუფში ასპარეზობდნენ სობის საფეხბურთო სკოლის, ზუგდიდის „ზუგდიდისა“ და სენაკის საფეხბურთო სკოლის გუნდები.

**B** ჯგუფში გამოდიოდნენ ფოთის და მარტვილის საფეხბურთო სკოლის გუნდები. გუნდები დაკომპლექტებული იყო 2001-2002 წლებში დაბადებული ჭაბუკებით.

ადგილი (დირექტორი ჯესი სურმავა, მწვრთნელები გია ქობალია, ზაზა გოროზია). მათ გადაეცათ მესამე ადგილისთვის განკუთვნილი თასი და სიგელი.

ამრიგად, მეორე ადგილი დაიკავა ფოთის საფეხბურთო სკოლის (დირექტორი კახა ეფრემიძე, მწვრთნელები ნუგზარ თვარაძე, ზვიად ნოდია) ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდმა, რომლებიც დაჯილდოვდნენ მეორე ადგილისთვის განკუთვნილი თასითა და სიგელით.

ტურნირის ღირსეული გამარჯვებული და ნუტი ლემონჯიას სახელობის თასის მფლობელი გახდა სობის სა-



პაჭკორია (ფოთი).

ზურაბ ლატარიას მიერ დაწესებული პრიზი გადაეცა ფინალურ მატჩში გამარჯვების გოლის ავტორს ლუკა საჯაიას (სობი).

საქართველოს პარლამენტის წევრის, სობის მაჟორიტარი დეპუტატის გოდერძი ბუკიას მიერ დაწესებული პრიზი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა რევაზ წულაიამ ნუტის ოჯახს გადასცა. ნუტის ოჯახი ასევე დაჯილდოვდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს (თავმჯდომარე ბატონი ედიშერ ჯობავა) მიერ დაწესებული პრიზით.

სპეციალური პრიზი დაწესდა კოტე მხეიძემ, რომელიც ასევე ოჯახს გადაეცა. დაჯილდოების ცერემონიალს უძღვებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ბატონი გორჩაქაია, გამგებლის მოადგილეები ბატონები ვარაზ გაბედავა და მახარე ჩოკორაია. კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ქალბატონი როზეტა შულაია, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი ქალბატონი ნანა ბუკია, საფეხბურთო კლუბ „კოლხეთისა“ და საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობა.

დაჯილდოების შემდეგ დამსწრე საზოგადოებამ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ, ორგანიზატორებმა, გულშემატკივრებმა და ნუტის მეგობრებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ნუტის ხსოვნას, შემდეგ კი ყვავილებით შეამკეს მისი საფლავი და აღნიშნეს ნუტის დაბადების დღე.

ფეხბურთო სკოლის (დირექტორი ზურაბ ლატარია, მწვრთნელები ვლადიმერ ჯამბურია, ლევან ნოდია, პაატა ხვიჩია) ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც დაჯილდოვდა ნუტის სახელობის თასითა და სიგელით.

ტურნირზე დაწესებული იყო პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში:

საუკეთესო მეკარე გახდა **ნუკრი ქობალია** (სობი),

საუკეთესო მცველი-ცენტრალური ჯანელიძე (ფოთი);

საუკეთესო ნახევარმცველი-**ირაკლი ჯანჯღავა** (მარტვილი);

საუკეთესო თავდამსხმელი გახდა **გიორგი შამუგია** (ზუგდიდი);

ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს **დიმიტრი ბერაია** (სობი).

ტექნიკური ფეხბურთელის პრიზით დაჯილდოვდა **საბა**

\* \* \*

**ნუტის ოჯახის წევრები მადლობას უხდებიან საფეხბურთო კლუბის ფეხბურთელებსა და ხელმძღვანელებს, საფეხბურთო სკოლის მწვრთნელებსა და სასპორტო სკოლის მწვრთნელებს ტურნირის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის.**



შეჯიბრება მეტად დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, ჯგუფური ასპარეზობის შემდეგ გამოვლინდნენ ნახევარფინალისტები, რომლებიც ასე დაწვევილდნენ:

1. სობის საფეხბურთო სკოლა-მარტვილის საფეხბურთო სკოლა.

2. ფოთის საფეხბურთო სკოლა-ზუგდიდის „ზუგდიდი“.

პირველი ნახევარფინალური მატჩი ფოთის საფეხბურთო სკოლისა და ზუგდიდის „ზუგდიდის“ ჭაბუკ ფეხბურთელებს შორის გაიმართა. მატჩი დაძაბულ ორთაბრძოლაში მიმდინარეობდა. ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ. პენალტების სერიაში კი ფოთელები უძლიერესები აღმოჩნდნენ და ფინალში გავიდნენ, მეორე ნახევარფინალში სობელებმა ადვილად 4:0 დაამარცხეს მარტვილის გუნდი და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ნუტის დაბადების დღეს გაიმართა მატჩი მესამე ადგილისთვის და ფინალი.

მესამე ადგილისთვის მატჩში ერთმანეთს ნახევარფინალში წაგებულ ზუგდიდის „ზუგდიდისა“ და მარტვილის საფეხბურთო სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ. მარტვილებმა შეძლეს მატჩის მოგება და მოიპოვეს მესამე

## ს ს ო მ ნ ა

### თემურ შამათავა



ჩვენო უღალატო და უანგარო ბიჭო, ჩვენო საყვარელო თემურ! უკვე შვიდი წელი გავიდა, რაც მოულოდნელად ტრაგიკულად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე, რაც ზეციურ ბილიკს აუყვავი, მარადისობაში გადასახლდი, უკვდავებას ეზიარე და ჩვენგან შორს იმიერ სამყაროში დაიღე ბინა.

რა ტკივილიანი და ცრემლიანი იმის გახსენება, თუ რა დაგვატყდა თავს, მაგრამ ვაი, რომ სინამდვილეა.

ჩემო თემო, ვერა და ვერ შეგვეგუეთ შენს არყოფნას, რაც დრო გადის უფრო მწვავედ გრძობს შენი ბებია უშენობას, ვერაფრით შევივსეთ ის სიცარიელე, შენი წასვლით რომ დაგვიტოვე.

მაინც რა უდროოდ შეწყდა შენი სიცოცხლე, ჩვენო საფიცარო, ისე წახვედი ერთი სიტყვაც არ გითქვამს, ნუთუ არ გქონდა სათქმელი.

შენზე ფიქრებში უსიხარულოდ უღამდება და უთენდება ბებია, რომლისთვისაც მეტად საშინელია იმის გააზრება, რომ შენ ვერასოდეს იქნები მის გვერდით.

ძალიან გვენატრები, ენატრები მამას, ძმას, მამიდას, მამიდაშვილ დავითს.

რით ვინუგეშოთ თავი, მხოლოდ იმით, რომ სათუთად შევიწინახავთ შენს ხსოვნას და ყოველთვის შენს საფლავთან ავანთებთ სანთელს.

ღმერთს ლოცვით ვთხოვთ, შენი უკვდავი ლამაზი სული აცხოვნოს და ნათელში ამყოფოს, დაუმკვიდროს, სამარადისო სასუფეველი.

**ბებია ვენერა, მამა თენგი, ძმა გიორგი, მამიდა ნინო, მამიდაშვილი დათუნა.**

### ზაზა კობახიძე



ჩემო სანუკვარო შვილო ზაზა! ყველაზე დიდი სიხარული ჩემს ცხოვრებაში იყო შენი დაბადება „14 ოქტომბერი“-ამ დღეს სიხარულით მოველოდი ყოველთვის, რომ უფალმა არანუკვლებრივი შვილი მაჩუქა. ახლა კი ამ დღის მოახლოება ჩემთვის ტრაგედია გახდა.

ოთხი წელი თავდება, რაც უშენოდ ვზოგინებ ამ ქვეყნად, მიკვირს როგორ არ მკლავს ეს საშინელი ტკივილი, დარდი და მწუხარება, რომელიც შენს გამო ჩემი სიცოცხლის მუდმივი თანამგზავრი გახდა.

ჩემო უთბილესო, კეთილშობილო ვაჟკაცო! შენს მერე მე მხოლოდ ვცოცხლობ ამ ქვეყნად, იმისათვის, რომ შენს საფლავთან ვიარო, მოგეფერო, გელაპარაკო, მოგიყვებ ყველაფერი, რაც ხდება ჩემს თავს. ვერძნობ, რომ სულ ჩემს გვერდით ხარ და ყურადღებით მისმენ.

ზაზუ დედი-შენთან, რომ მივდივარ-გზაში შემხვედრ შენი ასაკის ახალგაზრდებს გულდასმით ვაკვირდები, მინდა რომელიმე მათგანში შენი სახე დაეინახო-მსაგვსებაც კი, რომ ჯიქურ მივიღე და გულში ჩავიკარა შენს მაგივრად, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერავინ შემხვდა ასეთი.

ჩემო სიხარულო! რაოდენ მძიმე ყოფილა შვილმკვდარი დედის ხვედრი, ის უსაზღვრო მონატრება შენდამი, წარსულზე ფიქრი-შენი ბავშვობიდან სიცოცხლის ბოლომდე. წუთითაც არ მშორდება ჩემი თვალთახედვიდან, გონებიდან, რომელიც სასტიკად მთრგუნავს და სულს მიწამლავს. რაც დრო გადის, უფრო მეტად მტკივა

და არასოდეს განელდება, მხოლოდ მივჩვევი ამ უბედურებას. არის მომენტები ახლობელთან ურთიერთობისას გამეციენება კიდევ, მაგრამ ვაი ასეთ სიცილს-გულამდე, რომ არ ჩადის და მერე ნანობ იმასაც, მგონია, რომ სიცილის უფლებაც არ მაქვს; როდემდე შეიძლება ადამიანმა ამ ჯოჯოხეთს გაუძლოს, თუმცა ღვთის ნება ყველაფერი.

ჩემო სიცოცხლე! ეკლესიაში სიარული არის ჩემი მკურნალი, ნუგეში. რეალურად მწამს და მჯერა, რომ შენ ცოცხალი ხარ. ამიტომ მუდამ ვლოცულობ შენი სულის სადიდებლად; სწორედ ამ რწმენით ვცოცხლობ დღემდე. იმედია, როცა უფალი ინებებს, წამიყვანს იმ სამყაროში და შენთან შემახვედრებს, რომ სამუდამოდ გულში ჩავიხუტო.

ჩემო თვალისჩინო! ადამიანებზე უზომოდ მოყვარულ-შენს ნათევსაგვებს, მეგობრებს, მეზობლებს გამორჩეულად უყვარდი და დღესაც მუდამ შენს ხსენებაში არიან, მადლობა ყველას.

ზაზუ, დედი, ძალიან, ძალიან, ძალიან მიყვარხარ და უსაზღვროდ მენატრები!

ვამაყობ, რომ დედაშენი ვარ. **ზაირა კვიციანი-კობახიძე.**

# გოგი ბუკიას სახელობის სამართაშორისო ტურნირი ნარდში



რაცია, საქართველოს ნარდის კლუბი და „eu-rope-bet“.

გოგი ბუკიას სახელობის ნარდის ტურნირის ფინალისტი 13 სექტემბერს გამოვლინდნენ. პირველი ადგილი გერმანიის წარმომადგენელმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გავიდა სომხეთის წარმომადგენელი, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი საქართველოს წარმომადგენელი გახდა. ტურნირს გოგი ბუკიას ოჯახის წევრები, საქართველოს პარლამენტის წევრი გოდერძი ბუკია, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა, გამგებელი გოჩა ქაჯავია და

9-13 სექტემბერს, ქ. ბათუმში, სამორინე „eu-rope-bet“-ში, ჟურნალისტ გოგი ბუკიას სახელობის სამართაშორისო ტურნირი ნარდში გაიმართა. გამარჯვებისთვის 15 ქვეყნის 120 მონაწილე, მათ შორის ხობელი მოთამაშეები იბრძოდნენ, რომლებიც საკუთარი შესაძლებლობების დასამტკიცებლად და ფულადი ჯილდოს - 50 ათასი ლარის მისაღებად ერთმანეთს ნარდში ეჯიბრებოდნენ. მოთამაშეთა შორის იყვნენ ქალებიც. ნარდის სათამაშოდ ბათუმში ჩამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონები და ცნობილი ნარდის მოთამაშეები.



ტურნირის ორგანიზატორები არიან ნარდის მსოფლიო ფედერაციის მაიორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი რევაზ წულაია ესწრებოდნენ. აზერბაიჯანის წარმომადგენელს აქტიური და საინტერესო თამაშისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი სამახსოვრო საჩუქარი გადასცეს.

მოწყობის დადგინების სიხარბით დავეწაფე ინტერნეტს და ცხოვრებაში პირველად თინეიჯერის სისწრაფით გავხსენი ფეისბუქი... პირველი გვარ-სახელის აკრეფისას მივხვდი, თანაკლასელებს ვეძებდი... იმ დღეს მხოლოდ ერთს მივაგენი-17 წლის ასაკში შორეულ სანკტ-პეტერბურგში გადახვეწილ ტარიელ გვაჯაიას. გავხსენი მისი ფოტო-ალბომი და სული უარესად ამიტირდა. კომპიუტერის ეკრანიდან ჩემთვის თითქოს უცხო, თეთროთმანი მამაკაცი მიმხერდა... კალრი სასწრაფოდ გადაფურცლე და შვებით ამოვისუნთქე-აი, ჩემი მეგობარი-თმაგრუზა, სახენათელი ბიჭი, ამას ლამაზ გოგონასთან ქორწილის კადრი მოჰყვა... საოცარი ინტერესით ვაგრძელებ სურათების დათვალიერებას და... სუნთქვა მეკერის-ეს ხომ მე ვარ და ჩემი მეგობრები, ფიზიკის კაბინეტში მორიგი ცდის ჩატარებისას... მივხვდი, ტარიელსაც რაღაც აწვალავდა, ამ სურათის გამოქვეყნებით ის წარსულს აცოცხლებდა, ჩვენ გვეფერებოდა... და ათეული წლების შემდეგ სიყრმის მეგობარს პირველი წერილი გავეუზღვე...

# შეხვედრა... ნარსულთან

ორი დღე, რომელმაც 44 წლის წინ დაითავრებული ზღაპარი გააცოცხლა...



მანანა ნახჭიბანი და ედიშერ ჯობავა

მალიან ცოტა ხანში მოხეივთა ყურადღების ცენტრში ვერანდა აღმოჩნდა... აქ ცოცხლდებოდა ზღაპარი, რომელიც 44 წლის წინ ხამისქურის საშუალო სკოლის დამთავრებით დასრულდა... ზღაპარი კი საოცრებების გარეშე რის ზღაპარია... პირველი და ყველაზე თვალმისაცემი საოცრება სამოცს გადაცილებული ქალბატონებისა და ბატონების თვალების უჩვეულოდ ღამაში, უფრო სწორად, ძველებურად ღამაში სხივი გახლდათ, დროის უხეშ ნაოჭებს ბოლომდე რომ ასწორებდა...

ვლადიმერ კუკავა, ნარგიზა ქირია, ვარდო ჯანაშია, გრიგოლ კურობს და მაინც წუწუნით ხვდებოდა... ამ სენს ჩვენი მეგობრებიც ნატრობდნენ... ანატოლი ქირია, ჩიტა ქირია, ზურაბ კუკავა, ზურაბ ფარცვანი... ოთხი დღემდე მოუშუშებელი იარა... ისინი მალიან პატარები წავიდნენ ამ

კავა, ნანი ხარჩილავა, დინარ გრიგოლია, ფირუზა კვარაცხელია, მურმან კუკავა, მარიამ კუკავა, მადონა ქარჩავა, ჯანიკო ქირია, მისია ფარცვანი, მარინა ქირია, შუია (მარინა) ქობალია, ნინელა (ვენერა) გაბელია, ვახტანგ გვასალია, გულნარა პაპასქუა, ნუგზარ ალანია, მედიკოსი იოსელიანი (დღეს დედაო მედა), თამაზ ქირია, ტარიელ გვაჯაია... მართლაც ზღაპრული, საოცარი იყო ხილვა ადამიანების, რომლებიც ეპოქის ჭეჭეში არ გასვრილან და ბოლომდე ისეთივე ხალასები და გულუბრყვილონი დარჩენილან, როგორებიც ბავშვობაში იყვნენ...

ცხოვრების გრძელ გზაზე არც ერთ მათგანს არ ჰქონია პრობლემა ზნეობასთან, კანონთან... უფალო, მადლობა ამისთვის! ცხოვრებასთან ბრძოლა პირწმინდად მოგებულა... მერე რა, თუ მის ბრჭყალებს მხოლოდ გარეგნობა გაუკაწრავს... სამაგიეროდ, სრულად დაგვრჩენია უზომო სიყვარული და პატივისცემა, ერთგულმა ერთმანეთისადმი...



ქიშიის ბავშვთა სასახლე

ასე განსაჯეთ, არ შეცვლილა კლასის ლიდერი, ყოჩი... მთლენაც ისეთივე ხალისით შეგვძლებია, როგორც ერთ დროს... ცეკვის სიყვარულიც და უნარიც ბოლომდე შემოგვრჩენია... სხვანაირად, ტარიელი ვერ მო-

იფიქრებდა პეტერბურგიდან ჩამოტანილი სამახსოვრო საჩუქრები ლატარის სახით გაეთამაშებინა, ბილეთებზე და ბეჭედზე ან ცოცხლებზე ეპასუხებინა პატარა გოგონებზე და რჩენილი თანატოლებისთვის.

საერთო აზრი მხოლოდ მომავალ შეხვედრებზე საუბრისას გაიყო...

—ორი-სამი წლის შემდეგ ჩემს ნაოჭებს თქვენ არ დაგათვლივინებთ, — ძველებურად „შეუვალია“ ნანი...

—არა ჩემო მეგობარო. ნაოჭები დროის მოტანილი სიმდიდრეა და ის ვერასოდეს ჩადგება ჩვენს შორის. ის ჩვენი საერთო სენია, რომელსაც ადამიანთა მოღვაწე ნატრობს და მაინც წუწუნით ხვდებოდა...

შეხვედრას ჩვენდა საამაყოდ მამის ასლი და ღამაში დედის ღამაზად გაზრდილი ბიჭი სტუმრობდა-თეიმურაზ ქირია... შეხვედრის მეორე დღე ტკივილიანი გახსენებით დაიწყო-ჭარმაგი ადამიანები 18-20 წლის თანატოლების საფლავეებს ყვავილებით ვამკობდით და წარმოდგენაში მათ სახეებს ვაცოცხლებდით, როგორები იქნებოდნენ დღეს...

იქნებოდნენ კი არაჩვეულებრივი მამები, განუმეორებელი მეუღლეები და ალბათ ჩვენზე უკეთესი მეგობრები... ეჭვი არ მეპარება, ისინი თანაკლასელთა საფლავეებს ჩვენსავით ასე დიდი ხნით არ მიატოვებდნენ...



შეხვედრა 44 წლის შემდეგ

გვაპატიეთ, ბიჭებო! მაგრამ მთავარია, ჩვენ ისევ ვიპოვეთ ერთმანეთი. ისევ გვაქვს სურვილი შეხვედრის, ურთიერთობის... ცხოვრება გვიყვარს მეტად, ვიდრე ოდესმე!

და თქვენც მუდამ ჩვენთან იქნებით!

მანანა ნახჭიბანი.



## მწერი

### სამადლობელი

ნოჩიხევის თემში მრავალი საიმედო ოჯახი და ადამიანია. მათ შორის არის ექიმი და ლტოლნიერი ადამიანი ყველას მშველელი ბეჟან ხანჯია-მეურნალი და ხალხის იმედი.

ბეჟანი სიცოცხლის დარაჯია. მან 7 თვის სიცოცხლე აჩუქა ჩემს მეუღლეს ბადა ცირდავას, რომელსაც ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე მეურნალობდა. მე მისი წყალობით მაქვს სიცოცხლე შენარჩუნებული. ბეჟან ხანჯიას მადლიერთა რიცხვი უღევი.

სახალხოდ მინდა მადლობა ვუთხრა მას მათალი პროფესიონალიზმის, კეთილშობილებისა და სიკეთისთვის. უფალმა უმრავლეს ჩვენს ქვეყანას მსგავსი ადამიანები.

ნაირა ცირდავა-ბებია.

**დაფუძნებული:** ხობის **სარედაქციო კოლეჯია:** მშენიცი კალიტეტის **თავმჯდომარე შ.პ.ს. „სობის მოამბე“** დირექტორი-მერი ლავგილავა, საქრებულო. **თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე-ნანი კილასონია.**

**გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“** **რედაქტორი-მანანა შულაია.**

**ჟურნალისტიკები-ნინო გერგაია, ნაირა ბერაია.**

**კომპიუტერული უზრუნველყოფა-ჯულიეტა ლატარია.**

**გაზეთი ხელმძღვანელობის** თავისუფალი პრინციპით. **გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**

**გაზეთი აუქსო და დაბეჭდილი შპს „ხობის მოამბე“**

**მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1** ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: **xobismoambe@mail.ru**

**დაბეჭდილი შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“.** თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## საკრებულოს რიგგარეშე სხდომა



სობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაძე. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოსა და გამგეობის ხელმძღვანელი პირები, სადაც განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

„ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუ-

ნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“.

წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრა საარჩევნო სუბიექტისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა, კერძოდ, ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზი, ასევე განისაზღვრა ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატები და განცხადებები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N42

2015 წლის 9 სექტემბერი, ქ. ხობი

**ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 ნაწილების და 46-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად:

1. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების გურიფულის თემის №66.06 ადგილობრივი მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2015 წლის 31 ოქტომბერს გასამართ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიებისთვის გამოიყოს ქ. ხობში, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობა - ქ. ხობის კულტურის სახლის მცირე დარბაზი;

2. ხობის მუნიციპალიტეტის გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ საარჩევნო უბანში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს ყოფილი კლუბის შენობა (თბილისის ქუჩა N241) და გურიფულის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.

3. აიკრძალოს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 31 ოქტომბრის შუალედურ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსება საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოს და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

4. დაევალოს ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას (გ. ქაჯაია):

- ა) საარჩევნო პლაკატების გამოსაფ-

ნად განთავსებული სტენდების მოწესრიგება;

ბ) ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელება წინასაარჩევნო აგიტაციის, წინასაარჩევნო მოწოდებებისა და მასალების (მოწოდებების, განცხადებების, წარწერების, ფურცლების, ფოტო, სააგიტაციო დანიშნულების ავტოსატრანსპორტო და სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი სხვა საშუალებები) გავრცელებაზე, პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებაზე, სხვა წინასაარჩევნო საქმიანობებთან დაკავშირებით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი წესრიგის დაცვაზე და უზრუნველყოს საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსით“ დადგენილი სამართალდარღვევის ფაქტზე საჭირო სანქციების გამოყენება.

5. ეთხოვოს შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ხობის რაიონულ სამმართველოს (ი. შენგელია) წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ამ განკარგულებით გათვალისწინებული წესების დარღვევის ფაქტების აღკვეთა.

6. დაევალოს საკრებულოს აპარატს (კ. კემულარია) საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განთავსებისთვის გამოყოფილი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების უზრუნველყოფა არჩევნების დანიშნვიდან არაუგვიანეს 10 დღისა.

7. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

8. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ფოთი, დავით აღმაშენებლის ქ. N3).

**ედიშერ ჯობაძე, საკრებულოს თავმჯდომარე.**

## ღვთისმშობლის შობის დღესასწაული სობში



ხობის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში ღვთისმშობლის შობის დღესასწაული აღნიშნეს. საზეიმო წირვა-ლოცვა ფოთისა და ხობის მიტროპოლიტმა მეუფე გრიგოლმა ეპარქიის სამღვდელთა კორპორაციის და ტაძრის მოძღვარ ილიასთან (ლომაია) ერთად აღავლინა. საზე-

იმო წირვას მეუფე გრიგოლის მიერ საქართველოს განათლების სამინისტროდან მოწვეული სტუმრები, საქართველოს სასულიერო სემინარიის რექტორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს პარლამენტის წევრი გიგა ბუკია, გამგებელი გონა ქაჯაია, საკრებულოს თავმჯდომარე ედიშერ ჯობაძე და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მეუფე გრიგოლმა საღმრთო ქადაგების დაწყებამდე ტაძარში შეკრებილ მრევლს ღვთისმშობლის შობის დღესასწაული მიულოცა და პატრიარქის კურთხევით მრევლთან ერთად ღვთისმშობლისადმი სავედრებელი ლოცვა წაიკითხა.

## სასკოლო მზაობის ცენტრი სობში



ადგილობრივი თვითმმართველობასა და საერთაშორისო ასოციაცია „იკვიტას გეორგიკას“ შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, ქალაქ ხობის №1 საბავშვო ბაგა-ბაღში სასკოლო მზაობის ცენტრი იხსნება. (ერთი ჯგუფი-20აღსაზრდელზე). სასკოლო მზაობის ჯგუფი განკუთვნილია 2009 წელს დაბადებული ბავშვებისათვის, რომლებსაც 6 წელი უსრულდებათ 2015 წლის 1 დე-

კემბრამდე.

21 სექტემბერს „იკვიტას გეორგიკას“ სასკოლო მზაობის ცენტრმა, საჭირო ავეჯი, სასწავლო მასალები, კომპიუტერი რემონტისთვის საჭირო სარემონტო მასალები გადასცა, რასაც ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სასკოლო მზაობის ცენტრის აღმზრდელ მასწავლებლად მარინა იზორია დანიშნა, რომელიც გადის სასწავლო ტრენინგებს. სასწავლო პროცესის დაწყება სასკოლო მზაობის ცენტრში 1 ოქტომბერს არის დაგეგმილი.

## უ.პ.ს. „შავი ზღვის ტერიტორიის“ ქვემოქვეყანა



17 სექტემბერს შპს „შავი ზღვის ტერიტორიის“ წარმომადგენლებმა ქვემოქვეყნის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობას 76 ერთეული ერთიარუსიანი და ორიარუსიანი საწოლები გადასცეს, რომელიც სოციალურად დაუცველ ოჯახებს დაუბრუნდება.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა მადლობას უხდის შპს „შავი ზღვის ტერიტორიის“ არაერთი კეთილი საქმისთვის

## „დავასუფთავო მსოფლიო—დავასუფთავო საქართველო“

საერთაშორისო აქციას „დავასუფთავო მსოფლიო—დავასუფთავო საქართველო“ ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს და ა(ა)იპების წარმომადგენლები შეუერთდნენ. საჯარო მოხელეებმა და მოხალისეებმა ქალაქის ტერიტორია დაასუფთავეს. აქციაში ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებშიც ჩაერთნენ, დასუფთავდა ადმინისტრაციული შენობების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების მიმდებარე ტერიტორიები და სკვერები.

საქართველოში უკვე მეექვსედ ტარდება ფართომასშტაბიანი აქცია „დავა-

სუფთავო მსოფლიო—დავასუფთავო საქართველო“, რომელიც ხორციელდება საერთაშორისო კამპანიის „დავასუფთავო მსოფლიო“ ფარგლებში. პროექტს ორგანიზებას უწევდნენ მწვანეთა მოძრაობის დედამიწის მეგობრები-საქართველოს აქტივისტები და პროექტის კოორდინატორები.

კამპანია „რომელიც გარემოს დაცვით პროგრამის (UNEP) ინიციატივით დაფუძნდა 1992 წელს, ემსახურება მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დაბინძურებული გარემოს დასუფთავებას და დღეისათვის მასში 135-მდე ქვეყანაა ჩართული.

2-3 ოქტომბერი სობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალი „სიმღერა სამეგრელოზე“

# მეგობრებით სრულიად საქართველოს!



2003 წელს, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „სობის“ და მისი პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, სობის მაჟორიტარი დეპუტატის ბატონ გოდერძი ბუკიას თაოსნობით საფუძველი ჩაეყარა სობის საერთაშორისო ფესტივალს „სიმღერა სამეგრელოზე“, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება.

სამოქალაქო ომითა და მატერიალური სიდუხჭირით დაღლილი მოსახლეობისთვის, მა-

ლოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით. ფესტივალს წარმატება დაანათლა და მადლიერება შესძინა უწმინდესისა და უნეტარესის რამდენჯერმე სტუმრობამ.

სობის ფესტივალის მასშტაბურობა და მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენი კულტურის მოღვაწეთა იმ თვალსაჩინო ჯგუფმა, რომელიც თავიდანვე ფესტივალის სათავეებთან დადგა. ანზორ ერქომაიშვილის, ალექსანდრე ბასილაიას, ვახტანგ როლონაიას, ემირ ბურჯანაძის, გომარ სიხარულიძის, კუკური ჭოხონელიძის, სერგო კენჭაძის და სხვების მაღალი პროფესიონალიზმისა და დიდი მონღომების შედეგია, რომ სობის ფესტივალი დღეს უკვე ბრენდია, რომელიც ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ქართული მუ-

რის, ჯემალ სეფიაშვილის, ნუგზარ ერგემლიძის, თემურ ბოჯგუას, ვეფხვია კუტივაძის და სხვათა მიერ სპეციალურად სობის ფესტივალისთვის შექმნილი 30-ზე მეტი ახალი სიმღერა, რომელთაც ასრუ-

ლებული-ძუკუ ლოლუას სახელობის „ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი „სამეგრელო“, ექსპოზიციის ავტორია ცნობილი მხატვარი-დინამიკური ბატონი სერგო კენჭაძე.



ფესტივალის არჩილი

„მზირის“ ბენეფისები. წლებადღეილი მეშვიდე ფესტივალი ქართული კულტურის ორი დიდი ტრიუმფის-ანსამბლ „რუსთავისა“ და თამარ გვერწითელის შემოქმედებას ეძღვნება. პირველად გამოიყენა თამარ გვერწითელის მიერ ბავშვობიდან დღემდე ნამღერი ყველა ქართული სიმღერის ალბომი, სამომავლოდ კი მის შემოქმედებაზე იგეგმება დოკუმენტური ფილმის გადაღება. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ წელს პირველად ფესტივალზე წარდგენილი იქნებიან საქართველოს ყველა კუთხის, როგორც ფოლკლორული, ასევე სხვა ჟანრის კოლექტივები. ქართული სიმღერის მოყვარულთათვის არაჩვეულებრივი საჩუქარია უნკა-



ფესტივალის არჩილი

ლებდნენ ქართული ესტრადის საუკეთესო წარმომადგენლები: ეკა კვალაიშვილი, ნატო მეტონიძე, ეთერ კაკულია, ელენე ფოჩხუა, ნუგზარ კვამალი, სოფო ხალვაში, სალომე ბაკურაძე, ნოდარ ტატიშვილი და სხვები.

12 წლის მანძილზე სობის ფესტივალში მონაწილეობა მიიღო 20-ზე მეტი ქვეყნის საუკეთესო ანსამბლმა და ინდივიდუალურმა შემსრულებელმა. ფესტივალის ეგიდით სულ სობს 15000-მდე სტუმარი ეწვია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ქალაქში, სადაც სასტუმროც კი არ არსებობს, ეს ადამიანები ოჯახებში ცხოვრობენ და მათ



შინ ეს იყო სულიერი ძალების აღდგენის „იმედის ნაპერწკალი“ და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ძალიან მალე ფესტივალი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ქართული ფოლკლორის მოვლა-პატრონობის საქმეში.

წელს, 2-3 ოქტომბერს, ქართული სიმღერის თაყვანისმცემლებს სობი მეშვიდედ იწვევს საერთაშორისო ფესტივალი-„სიმღერა სამეგრელოზე“.

რიგით მეშვიდე ფესტივალის ორგანიზატორები არიან-საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „სობი“, პრეზიდენტი-გოდერძი ბუკია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, ქართული სიმღერის საერთაშორისო ცენტრი, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაცია, სობის მუნიციპალიტეტი, ფესტივალის საინფორმაციო მხარდაჭერია „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, აჭარის ტელევიზია და რადიო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ სობის ფესტივალი ტარდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართვე-



სიკალური კულტურის პოპულარიზაციას. მარტო ის რადღირს, რომ ფესტივალის შესანიშნავი ჰიმნის ავტორია განუყოფელი მაცხოვრებელი-ალექსანდრე ბასილაია, სიმბოლიკა კი საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს და ღირსეული მამულიშვილს, ბატონ ემირ ბურჯანაძეს ეკუთვნის.

შესანიშნავი ქართველი კომპოზიტორების-მარიკა კვალაიშვილის, ვაჟა აზარაშვილის, ალექსანდრე ბასილაიას, ნუნუ დულაშვილის, ოთარ ტატიშვილის, რუსუდან ხორავას, იაკობ ბობოხიძის, გომარ სიხარულიძის, ჯუბა ჯანდიე-

სობელები არნახული კოლხური ლაზათით მასპინძლობენ.

აღფრთოვანებას იწვევს სობის ფესტივალის საგამოცემლო საქმიანობა.

„სობის ფესტივალის ბიბლიოთეკა“ მოიცავს ფასდაუდებელი მნიშვნელობის მქონე ნაბეჭდ და აუდიო გამოცემებს, რაც პირველ რიგში, საფესტივალო გამოცემათა მთავარი რედაქტორის, ბატონ ვახტანგ როლონაიას ფართო ერუდიციისა და ქართული ფოლკლორის დიდი სიყვარულის შედეგი იყო.

ფესტივალის განსაკუთრებული მონაპოვარია სობის ახალ სავიზიტო ბარათად წო-

2007 წელს, მუზეუმის გახსნას დაესწრნენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, შესანიშნავი ქართველი საოპერო მომღერლები-ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, პაატა ბურჭულაძე, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტთა ჯგუფი ელენა ობრაზცოვას ხელმძღვანელობით. სტუმრებმა ერთსულოვნად აღიარეს, რომ ფესტივალისა და მუზეუმის შექმნით ბატონმა გოდერძი ბუკიამ ძველი დაუდგა ქართული სიმღერას, რაც წარსულისადმი ერის პატივისცემის და მოწიწების უბადლო მაგალითია.

წლების მანძილზე, სობმა ბევრ ახალბედა მომღერალს დაულოცა გზა დიდი სცენისკენ. ერთ-ერთი მათგანია ნინო გოთოშია. წელს მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცემები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. სობელებისთვის სასიამოვნო სურპრიზი იქნება წლებადღეილი საფესტივალო გამოცემაში მის მიერ ანსამბლ „რუსთავთან“ ერთად შესრულებული მეგრული სიმღერების დისკის ხილვა.

სობის ფესტივალზე აღინიშნა ზურაბ სოტკილავას 70 წლის იუბილე, ანსამბლ „გორდელას“ 50 წლისთავი. მიეწყო ალექსანდრე ბასილაიასა და ანსამბლ

ლური ანთოლოგია-380 ქართული ხალხური სიმღერა-ანსამბლი „რუსთავი“-16 კომპაქტდისკით, რომლის პრეზენტაციაც ფესტივალზე მოხდება.

განსაკუთრებული პროგრამა-სიურპრიზი მზადდება ახალგაზრდობისთვის, ველოდებით საქართველოში პოპულარულ სხვადასხვა ჯგუფებსა და ინდივიდუალურ შემსრულებლებს, იგეგმება ექსკურსიები და სხვა გასართობი ღონისძიებები.

დასკვნითი სადამო, რომელიც ჩატარდება ხეთის თეატრონში, იქნება ტრადიციული ქართული სიმღერისა და მის ფესვებზე განვითარებული თანამედროვე მუსიკის ზეიმი. საზოგადოების მადლიერების, მოყვარების, თაყვანისცემის გამოხატვა ლეგენდარული „რუსთავისა“ და განუყოფელი თამარ გვერწითელისადმი, იმ სიამოვნებისა და სიამაყისთვის, რასაც ქართველი ხალხი მათი შემოქმედებით განიცდის.

გეპატიუებით სრულიად საქართველოს.

მობრძანდით სობის ფესტივალზე, ერთად დავედგეთ და ვუგულშემატკივროთ ქართულ ფოლკლორს.

**რეზაზ ვულაია,**  
სობის მე-7 საერთაშორისო ფესტივალის „სიმღერა სამეგრელოზე“ დირექტორი.

